Washington State Department of Social & Health Services

Transforming lives

რჩევები ინდივიდუალური პროვაიდერებისთვის ზეგანაკვეთურსა და სამუშაო კვირის ლიმიტთან დაკავშირებით

სამუშაო კვირა არის:

- კვირის 12:00-დან (შუაღამე) შაბათის 11:59 -მდე
- სამუშაო კვირა შეიძლება გასცდეს სახელფასო პერიოდებს.
- სამუშაო კვირა შეიძლება გასცდეს თვეებს.



თქვენი სამუშაო კვირის ლიმიტზე ზეგანაკვეთური საათებით მუშაობისთვის თქვენ წინააღმდეგ არ მოხდება საქმის აღძვრა საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო:

- საჭირო DSHS ტრენინგის
- დამტკიცებული სამივლინებო დროის
- ადმინისტრაციული დროის
- ფასიანი შვებულების შემთხვევაში (PTO)

როგორ ავიცილო თავიდან შეტყობინება საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით?

- ყოველთვის დაგეგმეთ თქვენი სამუშაო გრაფიკი სამუშაო კვირის დაწყებამდე და ჩაიწერეთ ის.
- თუ კლიენტის საჭიროებები იცვლება და უნდა იმუშაოთ განსხვავებული გრაფიკით, რაც გავლენას ახდენს თქვენი სამუშაო კვირის ლიმიტზე, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით კლიენტის საქმის მენეჯერს.
- აღრიცხეთ თქვენი მუშაობის დრო თქვენს დროის განრიგის ცხრილში, ყოველი სამუშაო დღის შემდეგ; შესაძლოა, დაგეხმაროთ ქაღალდის კალენდარზე აღრიცხვაც. ხშირად შეამოწმეთ, რათა დარწმუნდეთ, რომ არ სცდებით თქვენი სამუშაო კვირის ლიმიტს.
- DSHS-ს გააჩნია საკმარისი რესურსი, რაც დაგეხმარებათ თქვენ და თქვენს დამსაქმებელს/კლიენტს, გაიგოს მეტი თქვენი გრაფიკის მართვის შესახებ იმისათვის, რომ დაიცვას თქვენი სამუშაო კვირის ლიმიტი. ეს რესურები ხელმისაწვდომია მისამართზე: www.dshs.wa.gov/altsa/IPOT.

რამდენ ხანს დარჩება საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული უწყება ჩემს საკონტრაქტო საქმეში?

- ყოველი საკონტრაქტო ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული უწყება თქვენს საქმეში დარჩება 12 თვის განმავლობაში საკონტრაქტო ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით უწყებაზე მითითებული თარიღიდან. 12 თვის შემდეგ, შეტყობინება საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით დაიხურება.

საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ უწყებაში მითითებული თვე ან წერილის მიღების თვე არის ანგარიშსწორების თვე:

- თუ წერილში საუბარია "აპრილის თვეში ანაზღაურებული საათებისთვის," ნამუშევარი საათების შეიძლება მოიცავდეს წინა თვეშუ (მარტი) ნამუშევარ საათებსაც.
- კითხვების შემთხვევაში იმ თვესთან დაკავშირებით, როდესაც გადააჭარბეთ მოთხოვნილ დამატებით საათებს, დაუკავშირდით საქმის მენეჯერს.